ᲙᲕᲘᲠᲐ 3 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ 1916 Წ.

ᲤᲐᲡᲘ 12 ᲙᲞ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№ 14

კომედია „ღალატი“, შედგენილი Ვ. გოთუას მიერ.

სურათი წარმოადგენს სცენას, როცა რუს-სომეხთა ხმებით გასული ქართველი ხმოსნები გამოდიან საარჩევნო ყუთის თეთრი კარებიდან.

კითხვა-პასუხი.

პართენს ვეახელ (გოთუას),
ყუთიდან ამოდიოდა
და გათეთრებულს, ჯერ კიდევ
თავს ოხშივარი სდიოდა.
ვკითხე: — ესოდენ ქართველნი
რაგვარად გამითეთრდითო:
აკი ამბობენ: „ყორანი
არ გათეთრდება ხეხითო?“
მომიგო: „კენჭსა და ქვიშას
შვა უძველ დიდი ზღვარიო.
სომხებს და რუსებს დავ-ტყუეთ,
ჩვენ კი ვუთხარით ვარიო“.
ვკითხე: — მაშ რუსი კეილი
რათ გაათეთრე ბიძიაშ?
მომიგო: — კუტა, ის კაცი
ქართველი ერის სიძეა.

კერძო მიწერ-მოწერა*)

უფალო თაგუნა!

თუმცა პირადათ ვერ გიცნობ, ან უკეთ რომ ვთქვა, სწორეთ იმიტომ რომ პირადათ ვერ გიცნობ „შენობითი“ უნდა გელაპარაკო.

„თქვენობით“ ლაპარაკი, დამეთანხმები, არ სჩვევია ქართულ ენას; ეს „თქვენ“, როდესაც ერთ კაცს მიმართავ მრავლობითი რიცხვით, — სრულიად უცხოა ჩვენი ენის ხასიათისთვის. ზრდილობის ან მორიდებისა და პატივისცემის გამოსახატავად მრავალი სხვა საშვალება მოეპოება ჩვენს დედაენას და „თქვენობა ნაძალადევათ და [illegible] შემოვიღეთ ამ დროს, როდესაც [illegible] მშობლიურს განზრახ ვივიწყებდით და უცხოს ვეპოტინებოდით სულელურის სიხარულით...

შენს წერილებს „ეშმაკის მათრახში“ გულდასმით ვკითხულობ ხოლმე. პირში ძრახვას ვარ ჩვეული და გულახდილათ გეტყვი: ნიჭს შენს ნაწერებში მე ვერა ვხედავ. წერის უნარი გაქვს, მაგრამ ნაპერწკალი, ღვთიური ცეცხლი, შავ სტრიქონებს რომ აელვარებს, გაკლია. მაინცა და მაინც შენი ნაწერის კითხვა მოსაწყენი არ არის და თუ ნაძდვილ სიმეს ვერ აგრძნობინებს კაცს, გაართობს მაინც ხან და ხან. ჩვენს დროში კი ესეც დიდი ღირსება არის.

ვინაცის, ეგება შენ იწყინო კიდეც და სთქვა: ვინ არის ეგ მეტიჩარა, არამკითხე, მე, სრულიად საქართველოს მეორე იუმორისტს, ასეთ რასმეს რომ მიბედავსო.

მართალია შენ მეორე ხარ, როგორც იუმორისტი, (პროფესიონალ იუმორისტებს ვანგარიშობ) საქართველოში, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ ამ გვარი პროფესიონალი იუმორისტი ჩვენში... მხოლოდ ორია, და მაშასადამე შენვე უკანასკნელი ყოფილხარ.

ეს იმისა ჰგავს, ერთმა ქართველმა ახალგაზდამ რომ დაიკვეხა, აღმოსავლეთის ფაკულტეტი უპირველესათ გავთავეო, და ბოლოს აღმოჩნდა, რომ იმ წელიწადში მხოლოდ იმას გაეთავებია კურსი, ერთად ერთს, ასე რომ, ძალიანაც რომ სდომოდა „მეორეთ“ ვერ გაათავებდა.

ესეც არ იყოს, მე „მეტიჩარა არამკითხე“ არ გახლავარ, და ამ წერილის ბოლოში რომ ჩემი ვინაობა გავამეღავნო, შენც დარწმუნდები, რომ ჩემი აზრი ყველა ქართველ მწერლისთვის საყურადღებო და ფასდაუდებელია.

მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა და ისევ საგანს ვუბრუნდები.

უმთავრესი ნაკლი შენი „შემოქმედებისა“ (ნუ იწყენ ამ ბრეკალებს!) ის არის, რომ ზომა, ზომიერება, არ იცი. ზომიერება „მეშჩანური“ თვისებაა, მართალია. მაგრამ მწერლისათვის ეს „მეშჩანური“ თვისება დიდ რასმე განძს შეადგენს.

შენ კი ეს განძი არა გაქვს. ისეთ დროსა და ალაგას გადაეჯარბებ ზომას, რომ სწორეთ იმ ფურს ემსგავსები ხოლმე, რომელმაც იწველა იწველა, ბოლოს წიხლი ჰკრა და დაღვარა.

*) თუმცა ეს წერილი ხახუმარო კილოზე დაწერილი არ არის, რედაქცია მაინც ადგილს უთმობს მას, რადგან ჰფიქრობს, რომ შიგ საყურადღებო საკითხია დასმული. ბ. თაგუნას პასუხს უახლოეს №-ში მოვთავსებთ.

მაგალითებისათვის შორს არ წავალ. აი, თუნდ, № 12 „ეშმაკის მათრახისა“!

თქვენ (შენ და „ეშმაკმა“) სასაცილოთ აიღეთ ლიტერატურული მოვლენა, „ცისფერი ყანწები“. დაცინვის საგნად გაიხადეთ უმთავრესათ ერთი მხარე ამ მოვლენისა: პორნოგრაფია. მაგრამ ისე გადაუჭარბეთ ზომას, რომ „ყანწების“ რეკორდს აღემატეთ და თვით თქვენი № ბეგრთ უფრო პორნოგრაფიული გამოდგა, ვიდრე თქვენგან ყბადაღებული „ყანწები“.

ეს კიდევ არაფერი. ჯანი გავარდეს „მოვლენას“ და ამ „მოვლენის“ უშნოთ გაკილვას! თქვენ არ დაინდეთ პიროვნებანი (თქვენი დამახასიათებელი ყოვლად საზიზღარი ჩვეულებაა!) და ლაფში ამოსვრეთ ისეთი კაცები, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საზოგადოების წინაშე.

რა უფლების ძალით იკადრე შენ და შენმა „primus ego“-მ, ეშმაკმა, გრიგოლ რობაქიძის ასე უდიერათ და უზრდელათ გაბაიბურება და დამცირება.

განა თქვენ არ იცით, ვინ არის გრ. რობაქიძე და რა ღვაწლი მიუძღვის მას ჩვენი ერის წინაშე?..

გრიგოლ რობაქიძე ის მოღვაწე გახლავთ, რომელმაც თავის პიროვნებაში გაასახიერა სინთეზი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტუროსნობისა, შეათანხმა ქართული და ევროპიული (ამ სიტყვების საუკეთესო მნიშვნელობას ვგულისხმობ) დასაწყისი და წარსდგა თავის ერის წინაშე, ვითარცა ნიცშეს ზეზსთადამიანი გრძნობა-გონება-დაჩლუნგებულ „ადამიანთა, მეტის მეტად ადამიანთა“ წინაშე.

გრ. რობაქიძე ის ქლიბი და კვერია, ობ-მოკიდებულ ტრადიციებისა და უზნეო ზნეობათა ბორკილებს რომ სჭრის და ამსხვრევს არა მხოლოდ ზეპირ სიტყვით, რომლის ნამდვილი ჯადოქარია, არამედ ლიტერატურასა და, ასე გასინჯე, თვით ცხოვრებაშიაც.

გრიგოლ რობაქიძე არის პირველი მსჯული შშვენიერებისა (arbiter elegantiarum) საქართველოში და ნამდვილი რევოლიუციონერი ესთეტიურ შემოქმედებისა, ენამეცნიერობისა და მეტყველების სფეროში.

გრიგოლ რობაქიძე პირველია, თანამედროვე ქართველობას რომ სრულ ორატორათ მოევლინა. ის ერთად ერთია, ჩვენს მწერლობაში ერთსა და ივავე დროს სიტყვა—ძუნწობისა „და სიტყვა—უხვობის საოცარ შეთანხმებას რომ გვიჩვენებს (სიტყვა-ძუნწია, რადგან შეუგნია სიტყვის მოკირნეობა და თადარიგიანობა (ეკონომია) და სიტყვა-უხვია, რადგან ლექსიკონი მისი მეტყველებისა დაუშრეტელია).

გრიგოლ რობაქიძეს თამამათ შემიძლია კულტუროსან ქართველის ნიმუში და ქართველი ერის სხვა ერთა წინაშე გამომჩინებელი ვუწოდო. საკმაოა გაიხსენო ამ დღეებში მიცვლილ სოციოლო, მ. მ. კოვალევსკის, სიტყვები, რობაქიძისთვის რომ სთქვა პეტროგრადში, როცა უკანასკნელმა ილია ჭავჭავაძის სახსოვრათ გამართულ საღამოზე შეუდარებელი სიტყვა წარმოსთქვა, და შენ დარწმუნდები, რაოდენათ ძვირფასია გრ. რობაქიძისთანა მოღვაწე ყველგან დავიწყებულისა და აბუჩათ აგდებულ ქართველი ერისთვის (აი მ.მ. კოვალევსკის სიტყვები: „რომც არ გვცნობოდა საქართველოს და მისი წარსული კულტურული ცხოვრების მრავალსახიერობა და სიდიადე, საკმაო იყო მოგვესმინა ყოვლად ნიჭიერ ჭაბუკის გრ. რობაქიძის საუცხოო სიტყვა, რათა გადაჭრით მეთქვა: იმ ერს, რომელსაც ასეთი ახალგაზრდა თაობა ჰყავს, დიდებული მერმისი მოელის!“)...

ეხლა გეკითხები, უფალო თაგუნა: რა მიზეზია, რომ ასეთი პიროვნება შენი ოხუნჯობის სარბიელზე გაგიგდია და წამდაუწუმ ხელწამოსაკრავათ გაგიხდია?

ამ კითხვას შენ ვაკაცურათ ვერ უპასუხებ, რადგან ასეთი პასუხი შენ მიერ საკუთარ თავის დამარხვას დაედრებოდა. ისევ მე გავცემ პასუხს ჩემგანვე დასმულ კითხვას:

მიზეზი ის არის, რომ (მაპატიე გულახდილობა) **უნიჭობა შურიანობის მშობელია**, შენ გაკლია ის, რაც გრ. რობაქიძეს, უხვად აქვს მიმადლებული და ვინაიდან ვერ მისწვდები მას, გსურს, რომ დაამცირო და ყბად აიღო.

ამით ვათავებ წერილს და გირჩევ, თავი დაანებო იმ სამარცხვინო ჩვეულებას, რომლის მიზეზი მხოლოდ უძლური შურიანობა არის.

შენი კეთილის მსურველი **ბუზანკალი**.

არშაკას ჩიტილი.

მეზეკმე არშაკა მოდის ბაზრიდან სანოგაგით ხელში. სადამოა. ცოტა გადაკრულშია და ეშხზე მოსული მღერის: „ბინზე კაქეს ხადი, შავშავი თვადი, კოცნა მსურს შენი“...

ვართანუშ, (ცოლს ეძახის) გენაცვალე კარალინკა სახეში, იზვინი, დუშა მოი, რომ ცოტა დავეგვიანე სადილის პრავიზია, მაგრამ ნიჩავო, მე ხომ არა ვარ მინავთი! დამპატიჟეს და ცოტა გადავხუხე. ვა წელიწადში ერთხელ ღვინო მეღირსოს და მაშინაც ატკახი ვოქო! ეე, მეღრეგ. ბუთლიკა მანეთი ღირს, შუტკა შტოლი! ღმერთმა ააშენოს იმათი ოჯახი, რომ პირი გამასველებინეს და გამაქრისტიანეს, თორემ გავთათრდი უფლის მადლმა! ისეგ სხვა თუ მიზამს „უგაშჩენიეს, თორემ მე ვინ მამაქვავა ღვინის ფული! მიღოვაადელხანოვის აწაპნილი მაუდიც რომ მე დამიმტკიცონ, მაინც ვერ გავბედავ სომხტვენი აბეზპეჩენიით ღვინის ყიდვას. ვა, ვა, კაცო, ბოთლი მანეთი რა ბოტკინის კაპლია, თუ უშვილობის წამალი! ვერა, ძმაო, მიღიონჩიკი რომ გავხდე, მაინც მაგ ფასს არ მივსცემ ღვინოში. არა, ეს ჩემი დედაკაცეც ტუტუცია უფლის მადლმა, დარდაკია რადა! „ნუ დალევო“. ბიეო, დამპატიჟეს, „უგაშჩენია გამიკეთეს და მაშ არ დავლიო“ არა, ის თუ ტუტუცი არ არის, იმის რა ენაღვლება მე რომ მუქთა კუბოში ბაღდადური ჩამოუარო! სხვის ქელეხში რომ ჩემი კვდარი ვაცხონო, რაზე ეტა ბოლშოი გრეშნო?! ვა, ჩემსს ხომ არა ვქამ, სხვისსა ვქამ, კმეე კაკო დელო! ვიცი ეხლა მამდგები ის აბალარი და ისე გამითახავს, რომ მთელი პატარნი კმანდის შლანგები ერთათ რომ მიშხაპუნონ წინ და უკან, მაინც ვერ გამრეცხავენ. მერე რა ღონიერია ის წყეული ისა! თუ გუნებაზე არ არის ბერეგის! რომ დატრიალდება გიჟი ბუდასავით და ვერმანწკა პუელმიოტივით დამყრის მუშტებს, გვერდებს სულ დალნაბოინი ზარბაზნივით გაიქეს ბაგა-ბუგი! ერთ ღამეს რაღაცაზე გამიჯავრდა და ისეთი წიხლი მკრა, რომ კრაოტიდან რომ წამოველ, როგორც რეღისკა, ისე დავერეკი კისრით. დამაჯდა ზევიდან და როგორც ნაკლული ტიკი, ისე დამაბანეკუკარა! ნჯღრევას ვინა ჩივის, ქრისტიანო ეს უზარმაზარი დედაკაცი რომ დამეცა, როგორც სამკაპეიკიანი ბაპიროზის ქაღალდი, ისე გამათხელა. ვეკვირი: ვართანუშ, მოი სალაავე, მოი კაკეკე, მოი ყვავ, ნუ მამკლამ, თორემ ხანდახან მეც გამოგადგები მეთქი. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ სანამ სულ არ დაიფრინა ის მოგრავილი ჰოპოპები, მანამ არ მომშორდა! ვიცი ეხლა გადაკრულში რომ დამინახავს ნამდვილათ დამეტაკება სოროკდვა სანტრიმეტროვი ეუმბარასავით და ვინ იცის ნახალოვკაში გადამისროლოს! ვა, რა ძალიან ფინთი და უეასნი რამ არის, მაგრამ ლუბოვნიკობაც კარგი იცის იმ წყეულმა. როცა გუნებაზეა ნამდვილი ლეგინიკის კამეტეია რადა! შეზარხოშებული და ეშხზე მოსული რომ გადაუსობ ხოლმე ხელსა, ისე დნება ის შეითანი, თითქოს ყინვარი შაქარიაო! ვა, ერთი უნდა ნახოთ, მაშინ, როგორ აქანებს იმ კუდს, გეგონება გოროწკოი უპრავის საათის მაიატნიკია! ნამდვილი ფუტურისტია უფლის მადლმა!

ეხ, მახლაა... ვართანუშას კიდენ გაუძლებს კაცი, მაგრამ ამ პრავიზიას რა უნდა უყოს ადამიანმა! ქრისტიანო, გირვანქა ხორცი და ორი ბაბაი!! მერე რა ხორცი კაცო! მიცვალებულს რომ საფლავზე დაუკურთხო იმის ზაპახით მთელი ხოჯივანქის კვდრები დაიბნედებიან და წამოცვივდებიან, ისეთი გლენოი რამ არის! ვა, ვა, ვა, აფსუს, ძველი დროებავ! სამ მანეთად ხუთი ბიჭი ქალაქიდან საქიომდინ მივიდოდა ქეიფითა. ეხლა თუმანიც რომ დახარჯო, პასლედნი დახლიღრის ყურის დალაბანდამდინაც ვერ მივა შენი ქეიფი! კაცო, რა პრავეზია, რა სხვა, ყველაფერს ცეცხლი ეკიდება. ადამიანო, წყვილი ჩექმა ოთხი და ხუთი თუმანი სად გაგონილა! მოდი ეხლა და ჩემისთანა ქეციანმა საპოტენკმა იცხოვროს! რითი, როგორ? არა რომელი სუმაშეჩი შემაკერინებს ხუთ თუმნიან ჩექმებს! ყველა, ყველა, მაგრამ ეს ტყავი რამ გაამვირა ასე ბეზბოლნათ, მიკვირს ქრისტეს მადლმა! კაცო, ქრისტეს დაბადებიდან დღევანდლამდინ იმდენი ტყავი არასოდეს არ გახდილა, როგორც ამ ვაინლობაში ვაჭრებმა ხალხს ტყავი გააძვრეს! მერე სად წავიდა ამოტოლა ტყავი! ეტა პრამა უდივიტელნი დელა ეი ბოლო! ვა, ვა, ვა, ეს რა ამბავია! გირვანქა პადოში ხუთი მანეთი!!! წყვილი ჩექმა ხუთი თუმანი ეე!!! ისიც ვისაც აკურატნი რაზმერის ფეხები აქვს! ზოგიერთს ამოტოლა ვერანი ფეხები აქვს, რომ

ერთ მეხაშეს აბეზპეჩენიას გაუჩენს სლაბოდნათ. მოდი ეხლა და იმისთანა უყალიბო ფეხის პატრონსაც ამიკნოვენი ფასებში შაუკერე! რა ექნა ძმაო, ხელს არ მომცემს. მადლობა ღმერთს რომ ჩემს ვართანუშას შარშან შაუკერე პოლსაპოტკები, თორემ ეხლა რა თანხა გაუძლებდა! ვა ხუმრობა ხომ არ არის! იმის კანჭები რომ ნახოთ დვენადცატი დუიმოვი ვადაპრავოდნი ტრუბა გეგონება უფლის მადლმა! ახლა ფეხები! ისე აქვს წაგძელებული ის ლაპკები, თითქოს ორთაპალის ეშაჩი მოსტიაო! ქრისტიანო, იმის ფეხის ზომის ქალალდს როცა ვერა ვშოულობდი ფრიაღის კუდით უზომავდი ხოლმე, შუტკა შტოლი! ხარაევის მთელი პადოშების მობილიზაცია რომ მაახდინო, მაინც იმის პარა პოლსაპოტკს არ ეყოფა. მოდი ეხლა იცხოვრე ამისთანა ცეცხლის კიდეებში უფულო კაცმა! ოხ, ვაინავ, შენ მამგონს რა უთხრა! კაცო, რომ გაუმეს ეს ვაინა თათრის კვდარივათა და ალარ ათავებენ, რა ამბავია? განა რა გახდა ეს გერმანია! მიდი რალა დადევი იმ პივით გაბეჩილ მუცელში, რომ კიშკებმა სულ კამარინწკის ტანსაობა დაიწყონ. მე უნდა ვიყო, რომ ერთი ისეთი ჩავათხლაშო იმ მედნი ცილინდრში, რომ ზავეშჩანიის დაწერაც ველარ მოასწროს. განა ამდენს ვალაპარაკებ.

მიდი რალა, ჩაფაერე,
არ აცალო ატვეჩაი,
კაკ ონ სმეეტ ცელომ სვეტუ,
კრუგომ დელატ ამიეაი!
შამოჭკარი ავლაბრულათ,
დაადევი საფეთქელში,
ისეთ ჭიტლაყი ამოჭკარ,
არ ენახოს თავის დღეში.

გოგია.

უსტარი ეშმაკი.

ყვირილიდან.

ძია, ეშმაკო! ისმინეთ
მცირე ვედრება ჩვენია
მათრახი წამოგვაშველეთ
თანაარს მყოფი შენია,
და ინახულე ყვირილი
დიდათ ცნობილი ძველადა
მტერისა — მტრულად დამხვედრი,
მეგობრისათვის ქველადა.
ცხრაას ხუთს მოვარდ-ყვავილე
მისი ბუნება დიადი,
ეხლა შამბნარით მოცულა,
გამეფებულა წყვდიადი.
დაბაში დათარეშობენ
ქვეყნის ორგული პირები
ბანქოს და ნარდის თამაში...
ეს არის მათი ფიქრები.
სვირულ ნუნუას გადაჰკვრენ,
ჩვენი ნაქები სტუმრები,
შემდეგ კლუბისკენ გასწევენ
სად თავს იყრიან „ტუზები“.
ვასო იქ არის, პატარა,
(ურუშაძეა გვარადა)
სპეკტაკლი, ლოტო, თამაში
მზათაა მასთან მარადა.
მანდილოსნებიც იქ არის,
ღამეს ათევენ ხშირადა
და პაემანის შემდგომად
დროს ატარებენ ტკბილადა.
ვაპრები ბუქნას დადიან
მომხმარებელთა ზურგზედა,
დარდანელისა დაკეტვამ
სჩანს იმოქმედა მათზედა.
კოპერატივის გახსნამა
კვლავ შეარყია ჰაერი,
ვაპრებს ვინ ჩივა, იოსებს
რამ შეუცვალა იერი?
„ეროთბის“ წინააღმდეგი
მისგან ხმა გვესმის ხშირია
არ კმარა მარტო სახელი
ხალხს მეგობარი სპირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნცაძოვანთა კრებული
თავადოვანთა გვარია,
(რა უნდა იყოს სიავით
ოდეს კარგიც რა არია).
შაბიამანის შესახებ
მოლია მთა და ბარია
(ნდობის კაცია, ქონება
სრულებით მას აბარია.
არავინა ყავს კანტროლი
ვინ დაუდგება წინაო
ბანკის საქმეებს აკეთებს
თავისებურად, შინაო.
„მეგობრის“ ფურცლებს ამშვენებს
იოსიბ მეტად მარგია
სახელის განდიდებისთვის
ხანდახან წერაც კარგია.
შენი მათრახი ამ პირებს
მეტის მეტადა სჭირია
არ მოგვატყუო იცოდე,
არ შეგვიკვალო პირია.
სხვაც ბევრი არის დაბაში
მათრახით შესახურები
შემდეგისთვის გაცნობებ
ეხლა თუ გვემსახურები.

მალაქია.

ინტერვიუს მაგვარი.

გაზეთი „სამშობლოს“ რედაქციის კარები წყნარათ შევდე. ბ. ი ეკალაძეს არც კი შეუმჩნევია, თუ როგორ ავეტუზე წინ. ის, ხმალ ჩამოკიდებული მიჯდომოდა საწერ მაგიდას და ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

— სალამი ბატონ ილ!

— გა...გიმარჯოს!

— უკაცრავთ, ხომ არ შეგაშინეთ? ბოდიშს ვიხდი!

— არაფერია, ცოტათი კი...მარა...თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე?..

— ალბათ ფუტურისტი იქნებით?

— ჯვარი დამწერე ბატონო—ვიჯმნი ყოველგვარი ეშმაკეულებისაგან..

— მაშ რაზე გარჯილხართ?

— მინდოდა გამეგო, თუ რეფ. გადავდა საქმე თქვენსა და პავლია ია შვილს შორის.

— დუელი აუცილებელია.

— ნუ თუ უტყვიოთ ვეღარ მორიგდებით?

— რაო?.. ტყვიით კი არა, მამა-პაპური ხმლით უნდა გადაწყდეს საქმე.

— მაშ რევოლვერებით აღარ მოხდება თქვენი დუელი?

— არა! მე, როგორც ქართველი კაცი, ქართულ ტრადიციას ვერ ვუღალატებ.

ამ სიტყვის დაბოლოებისთანავე წამოიჭრა ზეზე, და შიშველი ხმალი ჰაერში შეათამაშა. შიშით გულ-გახეთქილი მაშინვე მოვსწყდი იქაურობას და პირდაპირ მეგობრის რედაქციაში ამოვყავი თავი. იქ ჩვენი კრიტიკოსი კიტა გაცხარებული ელაპარაკებოდა ვიღაც ჭაღაროსანს.

— არა, არა გიორგი. თქვენ როგორ დაიჯერეთ ჩემი ფუტურისტობა? ნუ თუ თქვენ არ იცოდით, არ შეძლებ მე ფუტურისტი ვყოფილიყავი იმისთვის, რომ ორმოცდა ხუთ წელიწადს გადავცილდი.

— თუ აგრეა რა ვრჯიდათ მათ ქებას? მივაძახე და კადნიერად გამოვექომე წინ.

— თქვენ.. თქვენ რა გნებავთ? უსათუოდ სეკუნდანტად იქნებით მოგზავნილი? თავაზიანად შემეკითხა და... მეც მოვლბი.

— დიახ ბატონო, თქვენ იმათ აქებდით და...

— ეგ არაფერი მეგობარო, მე ამა ვის არ ვაქებ, თუ კი ოდნავ მაინც გვენათესავება, ჰოდა თუ ხათრი გაქვთ უთხარით ყველას, ყველას უთხარით, რომ მე ფუტურისტი არა ვარ. მე ერთი პრაკტიკული მოღვაწე ვარ და სად მე სად ფუტურიზმი? ეგ სულ ჩემი მტრების მოქორილი ამბავია.

— კარგი ბატონო, შეგასრულებ თქვენს დავალებას.

— დიდათ დამავალებთ ბატონო, დიდათ!—ეს მითხრა, ფრანგული რევერანსი გამიკეთა და გამომემშვიდობა.

ბულვარის მახლობლად პავლიე ია შვილი შევნიშნე. ერთ დაკეტილ მაღაზიას, პარაბელიუმით მიზანში იღებდა. მიუახლოვდი.

— სალამი ახალგაზრდა ფუტურისტს!

— გაგიმარჯოს ჩემ თვალთაგან პირველ ხილულო!.. ხომ არ მენათესავებით?

— არა ბატონო, არა. ამ რევოლვერს ვის უღერებთ?

— არავის. მინდა ვსცადო, იმ დაკეტილ დუქანს მივარტყამ თუ არა.

— მერე ეს რაში გესაქირობათ!

— როგორ თუ რაში ია ეკალაძე დუელში გამოვიწვიე და მინდა ცოტა წავივარჯიშო.

მაშ ხელს აღარ შეგიშლით მშვიდობით.

— ნახვამდის, აწდამარადის პირველ ნახულო, პირველ შეხვედრამდისო მომაძახა და ისევ მოიმარჯვა რევოლვერი.

ბელაძე.

აკროსტისი-გამოცანა

(ბათუმისთვის)

მუშების სისხლის წოვაში
ის დიდი პრაქტიკანტია,
ობობა შეჰფერს ვუწოდოთ
ანდა წურბელა, ზანტია.
იგი განაგებს საქმეებს
ბათუმის კიდით კიდესა,
ჯილდოსაც, კარგა მოზრდილსა,
იღებს ყოველთვის კიდეცა.
ან კი რათ უნდა დასჯერდეს
ცოტასა ასეთ დროშია,
როს მის ხელთ არის უფლება,
თვით კი ზის სალაროშია.
არა ყოფილა შემთხვევა
არვინ არს მოსწრებულია,
დროზე, პირნათლად მუშისთვის
რომ მას მიეცეს ფულია.
რჯული,[1]) სირცხვილი, ნამუსი,
ფულზე გასცვალა ხურდათა
ერთს აღარ სტოვებს გაუფცქვნელს
თვით კი სხვებს ნათლავს ქურდათა.
ნამუშევარის აღებას
ვინც მოინდომებს მუშებში,
ერთი თვე უნდა დაჰკარგოს,
მას უნდა სდიოს ქუჩებში.
მაგრამ მოხდება ხშირად, რომ
ერთ თვეს გაგიხდის ორადა,
ან და შენ წილ-ხვედრს შუაზე
გაგიყოფს თანასწორადა.

[1]) ექს-ებრაელი გახლავსთ.

ნახევარს მოგცემს და გეტყვის:
„სხვას მერე გაიგებენ“
(ორ ცალ კაპიკსაც არ ...
თუნდ სამარმდის მისდიო.)
ვინ იცის რამდენ საწყალ კაცს
ასეთი ბუჩუყებია
იმედ და სასო დაკარგულს
იმისთვის „უჩუქებია.“

კვაბი

მოსმენა

ძმაო ეშმაკო!

აი რა მდგომარეობაში არიან „მოკეთეს“ წერილის მერე ზუგდიდელი „მოდის კაცები“. პირველ-ყოვლისა მოხდა სამხედრო თათბირი, დაესწრენ ყველა „ღენერლები“. თავმჯდომარეთ ამოურჩევიათ ვ. ალშიბაია და მდივნად მ. მდივანი. სამი წინადადება შემოსულა, სამივე ერთხმად მიუღიათ. პირველი: სასტიკი ომი გამოუცხადონ „თან. აზრის“ რედაქციას. იერიშების მიტანა რედაქციაზე ვ. ალშიბაიას მიანდვეს. ის იყო მიიტანა კიდეც, მაგრამ ჯერ-ჯერობით კონტრ-იერიშებით უკუქცეულ იქნა. მეორე: ამოირჩიეს აგენტები: პეტრე, სიკო, ნიკო და სხვანი. „მოკეთეს“ საძებნელათ ვ. ალშიბაია ჰპირდება **მინგრელსკის** მამულების მთელი შემოსავლის სამ მეოთხედ ნაწილს. ბ-ნი მდივანი აღუთქვამს აფთიაქის შემოსავლის ნახევარს, ხოლო პ. კეიდია კი მთელ მოგებას საკრედიტო ამხანაგობისას. ამიტომ აგენტების თითის წვერებზე დადგებიან და ცხადია „მოკეთეს“ სიკეთეს არ დააყრიან. მესამე: „თავის თავად ცხადია“, რომ „სახალხო ფურცელში“ წერილი გაგზავნონ. კიდევაც გაუგზავნიათ და „13 მარტის ნომერში მოუთავსებიათ, სადაც ვკითხულობთ „ვინმეს“ წერილს“. საინტერესოა მხოლოთ ერთი გარემოება, რატომ ალშიბაიაზე და, სხვებზე არაფერს ამბობს ეს „ვინმე“ მეოცე საუკუნის „კორესპონდენტი“. ეშმაკო! თითონ ხედავ, თუ რა დღეში ვიმყოფებით. ჩვენი იმედი შენს მათრახის კუდზეა დამყარებული. კურთხეულ იყოს იგი აწ და პარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ვწერს შენი ზუგდიდელი მოციქული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა სიძვირესთან.

დაჰკრა მან და მოაკვეთა მდევს თავი.

მდევ-კაცი.

საზღაპრო მდევ-კაცი,
უხეში, ვეება...
ალექსანდრ ივანიჩ
ხატისოვს შეება.
(„სიძვირეს“ ეძახდენ
გოლიათს მდევ-კაცსა...
„ქალაქის მოურავს“
მუნ დამხთურ ზე-კაცსა).
სასტიკი ომია...
ძალას არ ზოგავენ...
ერიშით მიდიან...
ღელავენ, ბორგავენ!

იელვა მახვილმა
და თავი მდევისა
მიწაზე დაეცა
მკვესავი წყევისა.
რაინდი ბუტბუტებს
მთრთოლვარე ბაგითა:
— ალვავსებ ჩემს ქალაქს
აწ სანოვაგითა!

მაგრამ ეგ რასა გავს?!
მდევს ერთის ნაცვლადა
ორი, სხვა ამოსდის
თავი ტანთ ახლადა.
იელვა მახვილმა,
და იგი თავები
მიწაზე დაეცენ
გლახ სანახავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჩანს მდევ კაცს ულიმის
ტკბილ საწუთროება
და ორის სანაცვლოდ
ხუთი სხვა მოება.
აღშფოთდა რაინდი
ამ სანახაობით
და კვალად ეკვეთა
მდევს გამბედაობით.
ხმალს იქნევს, ვითარცა
თავადთა მარშლები...
თავნი ძირს სცვივიან
ვით პანტა ვაშლები.

მდევს ოთხის მაგივრად
რვა თავი მოება
და რაინდს აშინებს
ეს გარემოება.
იშიშვლოს მახვილი
და სისხლი დაღვაროს?
ვაი თუ რვის ნაცვლად
თექვსმეტი ახაროს!!

ეშმაკი.

დეპეშები.

დ. ზუგდიდი. „თან. აზრში“ მოთავსებულმა წერილმა: „ვერიდოთ მოდის ხალხს“, ძილი დაუფრთხო ზოგიერთებს. ამიტომ ჩვენ ამხანაგები პროტესტს, უცხადებთ ჯერ-ჯერობით „მოკეთეს“, რომ ეს „მოძრავი“ საზოგადოება გამოაცოცხლა და შეანძრია. ამ პროტესტის შემდგომ დარწმუნებული ვართ, რომ „მოკეთე“ ბოდიშს მოიხდის „მოძრავ“ საზოგადოების წიაოშე, შევა მათ მდგომარეობაში და მით უზრუნველ ჰყოფს, რომ სიზმრათ და ცხადად არ ელანდებოდეს ამ საზოგადოებას „მისი“ სახე.

იქიდანვე. ზუგდიდის აფთიაქი ჩინებულათაა დაყენებული. რა არ გინდა რომ იქ არ იყოს: ყოველ დღე და ღამ არის გამართული კონცერტი: ცეკვაობა, ბუქნაობა, სიმღერა, ქეიფი. სხვა და სხვა ქალაქებიდან არიან მოწვეული „სახელგანთქმულნი“ მომღერალნი“ წამალს ხომ „ჩინებულად“ იძლევიან: გარედან სახმარს კუპის ტკივილზე აძლევენ, პეტრეს სახელზე გამოწერილს კი პავლეს.

ოჩიკოჩი

—

ქუთაისი. აქ გუშინ, ღილის მატარებელით ჩამოვიდა ფოთის ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი გალაქტიონ ტყემალაძე, ეძებს ცირკულიარს, რომლის ძალითაც ყოველ უსიამოვნო მოსამსახურის გაგდება უნდა ხდებოდეს 24 წამის განმავლობაში.

იქიდანვე. ხმა გავრცელდა ილია მანუჩარიძემ დასწერა ახალი საოპერეტო დრამა, რომელიც ასე იწყებაო:

„მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამეენებელი ღამისა,
წინ მიძევს დუმა მსუქანი,
მადაც კარგი მაქვს ჭამისა“-ო.

მუჯლუგუნი.

—

ს. ერკეთი. სწორეთ იმ დროს, როდესაც გერმანელებმა ვერდენის საწინააღმდეგო ოპერაცია დაიწყეს, ერკეთის მომხმარებელ საზოგადოების „ღარიბთა საშვალების“ გამგეობაზე ახალი სისტემის გაბეცობით შეიარაღებულმა ოპოზიციამ, უკაცრავათ, ინტრიგან-ავანტიურისტა-უზურპატორთა პარტიამ, სასტიკი იერიში მიიტანა. გამგეობა თავის პოზიციაზე აღმოჩნდა და შერცხვენილი უკუ აქცია თავდამხსნელნი. მოსალოდნელია, ეს ეს ვეებატონები ახლაც არ დაცხრებიან. იმედსაა კარგავენ. მაშველ ჯარს ამზადებენ და ხელმეორეთ სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლისთვის ემზადებიან.

რჩიანი.

—

სამტრედია. წ. კ. ს. კრების შემდეგ, ყოფიფილმა გამგეობის წევრმა ქ-ნმა ან. სიხ—ძისამ განაცხადა: **„შემოუარეს ბატონო ქუჩიდან ჯიბგირები და იმით გაგვაშვესო.“** ჯიბგირების როლში უნდა იგულისხმოთ ადგილობრივი გლეხები, რომელთაც საწევრო გადასახადის შემცირების შემდეგ საშვალება მიეცათ საზოგადოების წევრობისა და თავისი სურვილის გამოთქმისა.

ქ-ნ ან. სიხ—ძისას, თამამად შეუძლია ცნობილი ელენე დარიანის ლექსი ასე გადაკეთოს:

„რისხვა მაგიეებს. ვერ ვიგუე შავი კაბანი“

—

თ ა მ ა კ ო ნ ი (შეშინებული კვეხის დეპეშა) 13 თებერვლის საზარელი სალამო გაგვითენდა[1]) სოფელს ყაჩაღთა ლაშქარი დაესხა. საღამოდან მეორე საღამომდე საშიშარი წვიელ-კვიელი ისმოდა. ზოგს ყიზილბაშები ეგონა, ზოგს ოსმალოები, ზოგს გერმანელები, ზოგს იაპონლები. დაიპრიეს ქალები ბავშვები, განურჩევლად სქესისა. ტყვეებს მოუყარეს თავი და კონტრიბუცია მოსთხოვეს. ვინც გადაიხადა განთავისუფლეს. დანარჩენები გაირეკეს წინ და ნაოდალვეის მხრით გაუყენეს. სწორეთ მეორედ მოსვლას მოგვაგონებდა მტრების თავდასხმა. არავინ იცის, რა უქნეს ოსმალებმა ტყვეთ წაყვანილებს. ცხადია ყველანი ამოსწყვიტეს.

თამაკონადი კვეხვი, ესსწუალით კადაჩენადი[2])

---

[1]) „საღამო გაგვითენდაო“, აი რას ნიშნავს ეშიში!

[2]) ახირებული საკმეა ეშიში. ჩვენმა რედაქციამ ეტეი შეიტანა ამ ცნობის სინამდვილეში და მიმართა ადგილობრივ კორესპონდენტს. პასუხი ასეთია:

არავითარი ოსმალო, გერმანია და მით უმეტეს იაპონია ჩვენს სოფელს არ დასცემია. არც უბრალო ყაჩაღები სწვევიან მას. ცნობა გაზვიადებულია. ის პირნი, რომელის შესახებაც შეშინებული გლეხი სწერს ჩვეულებრივი „სტრაფნიკები“ იყვნენ: ქილასონია, იაგორა და მათი ხელმძღვანელი ნესტორ კოკაია. ეს სამი კაცი შეშინებულ სოფელს მთელ ლაშქრად მოეჩვენა.

ნეტავ ვიცოდე როდის შეეჩვევა ჩვენი ხალხი თავისს ხვედრს.

ასეთია ეშიში. სამი კაცის ლაშქარი!

მესტვირული.

(ონისათვის)

დაუკარ ჩემო ქამანჩავ!
დაალუღუნე სტვირია...
ეგრე რას დადუმებულხარ?
სთქვი რამე, გახსენ პირია.

აბა გაბედე, დაუკარ,
რაც აქ ამბავი ხდებაო;
როდესაც ჩვენში ახალი
სალდათი იკრიბებაო.

ზოგისთვის სეტყვის ქარი ქრის,
ზოგისთვის დარი დგებაო...
აგენტებ-მექრთამეები
ფეხის ცერებზე დგებაო.

იციან, ბლომათ ქანქარი
მათთვისაც დაითვლებაო.
მათთან სიძვირეს რა უნდა
სხვის ხარჯზე გამოთვრებაო.

ვინც რომ მეტს ქანქარს აიღებს
ხელობათ ჩაეთვლებაო.
იმათთვის გასახარია
მათ მსხვერპლს რომ ტყავი სძვრებაო.

იმათი ტყავის ნაძრობი
კეთილ საქმეზე დგებაო..
(განა კეთილი არ არის
რომ კარტში წაიგებაო?)

დუქანსა, სამიკიტნოში
დროებაც გატარდებაო.
დიდებს არ დავსახელებ
სხვა დროსთვის გამოდგებაო,
განკითხვის დღე რო მოაწევს
სუყველა გამოტყდებაო.
წვრილ-ფეხა აგენტებისა
ჩამოთვლაც მიძნელდებაო
მათ რიცხვში ფიხო, იოსებ
უკან არ ჩამორჩებაო.
არც იმათ აწყენს მათრახი
თუ ვასილს შეერგებაო.

დაუკარ შენი ჭირიმე
ნაქები ბიჭებშიაო,
ფარახეთელი მესტვირე
გთხოვს გიგო **კრიჭეშიაო.**

უბრალო საუბარი*)

სუფსის ბაზრის ცხოვრებიდან.

ახალ ჩამოსული დაჭრილი ჯარის კაცი ონოფრე, ყავარჯენით ხელში, და მისი მეზობელი ფირანა.

— აგი ყველაი კაი მითხარი, ონოფრე, მარა რეიზა არ მიჩივი, როის გათავდება აი ჩხუბი?

— მაგის პასუხი, ჩემო ფირან, ადვილი არაა!

— ადვილი რომ არაა იმიზა გკითხავ.

— ომის გათავება, ჩემო ფირან, მტრის დამარცხებაზეა დამოკიდებული.

— კაი დაგემართოს...

— შეძლებით კი შევიძლებთ, მარა ამას დროი უნდა... დროი კი ძვირი გვიჯდება.

— კაი რომ შენ მაინც პაწაი ხნით გამოგიშვენ შინ.

— კაი გამოშობაა სტორეთ! ორფეხი წეკედი და სამ ფეხი ჩამოვედი. ფირან! ჩხუბის ამბავი იქინეც მეყოფა, შენ აქაური მითხარი რამე.

— ახალი აფერია ძამია და რაც არის რა საინტერესოა...

— ჩემდა ყველაფერი საინტერესოა.

— რა გითხრა,—აგი შენც იცი რომ ჩხუბის მიზეზით, ყორიფელ საქონელს...

— აი ყოლგან ასეა.

— ჰო, კი, ყოლგან ძვირი იქნება... მარა აქოური ვაჭრები რომ შობა, იგი ღმერთმა ნურაკაცს აქნაოს. კაცო! ერთი ალაბი ნარმა რა უნდა იყოს, და იმასაც თუ მოახერხეს მანათად მოგყიდიან. უნდა იყიდო, შიშველი ხომ ვერ გეიარ. კიდევ კაი რომ ჯუმათის სტანციაში—კოოპერაციაში ყიდიენ პაწა მისაკარებელ ფასებში...

— კი მარა... კოოპერაცია ხომ აქანაიც ყოფილა, და პაწას მაინც გაიეფებდა რამეს.

— კი, აქანაიცაა, მარა შით პურის მეტი აფერია.

— არა ძამიავ, კოოპერაცია ძაან საქმეა. დღეს თუ მარტო პურია, ხვალ სხვაიც იქნება და ნელ ნელა წინ წავა.

---

*) უმორჩილესად გთხოვთ ეს „უბრალო საუბარი“ არ აურიოთ ბ-ნ ივანე გომართელის „უბრალო საუბარში“. უმთავრესი განსხვავება იმაშია, რომ ბ-ნი გომართელ ი „უბრალო საუბარს“ „უბრალო მკითხველისათვის“ სწერს, ხოლო ბ-ნი სოკო კვერცხი კი „ბრალიანი“ მკითხველებისათვის.

ეშმაკი

— კი, ვითომ არა თუ? ძაან საქმეა მარა პაწას რომ თავს შეიწუხებდენ და რამეს მუშტატებდენ სანამ თლა ტყავს გაგვაძრობდენ... ვინ იცის ხვალ ვინ დარჩება ცოცხალი, დღეში ხუთი გზობა ველი მობილიზაციას.

— ვაპრობა ასეა ძმია, მარა აგი რაღაზაა, რომ საქონელს დუქნების წინ კლავენ, რას შობიენ ბაზრის დეპუტატები და სანიტარები?

— აგი ჩემო ონოფრე, შეჩოული ჭირია, არც შენ გაგიკვირდებოდა ამ ერთს წელიწადს სხოგან რომ არ წასულიყავი.

— ხომ ყავს ბაზარს ძველებურათ დეპუტატები.

— კი არიან ამორჩეულები... ზოგჯერ აპუზუნდებიან, ვითომ რამეს ვაკეთებთო, მარა მეორემესამე დღეს ერთს ან მეორე მოვაპრეს ერგება ვახშმის ან „პატარა ზაკუსკის“ გაკეთება და საქმეც მიფუჩეჩდება.

— კაცო, მართალია კაი ხანია აქანაი არ ყოფილვარ, მარა აქაურ ვაპრებს კარგათ ვიცნობ და იგინი დეპუტატ-სანიტარებს ვახშამს გაუკეთებს?

— დეპუტატებს უკეთებენ, თუ სხვას..

— თლა ასეც არ იქნება შენ რომ ლაპარაკობ, ჩემო ფირან.

— მე რომ მკითხო სტორეთ ასეა...

— ტყუილაი გკითხე ოჯო თვარა, რაში გვესაჭიროება.... იგინმა იკითხოს, ვინც შით ცხოვრობს.

— რეიზა ჩემო ქალია? სოფლის კაცი რომ ვარ, ავ და კას მეც ქე მივხთები—კვირეში ერთს მაინც გამეალ ბაზარში და რომ წმიდათ გვეიარო და ლორის ბალანში არ ამოვისვარო, მაწყენს თლ?

— კი არ გაწყენს, მარა...

— რა მარა, ჩემო ძმია, მართალია, დღეს ჩხუბია ასე ქვეაირია ქვეყანა, მარა ვინც ცოცხალია იმას სვინდისი და პატიოსნება უნდა... ბარაღამ ამასაც გეტყვი რადგან ლაპარაკში შევყვევით რასაც აქანაი „მოდისკა“ ქალები შობიან.

— ფირან, შენ ქვეყნის აპეკუნობა ნუ გიყვარს, რა უნდა ქნას იმფერი სხვას' რომ არ ექნას?

— რა ვიცი რა უნდა ქნას? დღეი ატყუებენ საწყალ ხალხს, შენს ციცას ხელობას ვასტაველითო, ახთიებენ სტავლის ფასს. ღამე კი, რავარც ციცეებს მოიშორებენ, იგინის „მასტერსტვოში“ არის ერთი ვაი უშველებელი და უხიდებელი ამბავი, არა ძმიავ! ქვეყნის აპეკუნობა კი არ მინდა, მარა რაც ლამაზი და კაი არაა იმას კაცმაც უნდა ერიდოს და ქალმაც.

— ფირან ჩემო, იმ ქალებს დიეთხუე და იგი მითხარი რა ქნეს სუფსაში თეატრს რომ აშენებდენ

— ჯერ იმ ქალების საქმე გამათევებიე...

— რაში მინდა იმ ქალების ამბავი, რაც უნდა იგი ქნან.

— რავა დავანებო რაც ქვეყანაზე პორია ყველა იმათი მოგონილია. გეიგებენ რამეს თუ არა გაბერვენ, და მოზდებენ მთელ დუნიას. ერთი კი უქნეს აქაურმა ზოგიერთმა ქალებმა, რომ ახლოს აღარ იკარებენ. მარა ამ ხანებში გამოუჩდათ ვინცხა კინის გზის ქალი და შეიძლება კიდეც გადაეპარბოს იგენს.

დაანებე თავი კაცო, მითხარი რა ქნეს თეატრის აშენებაზე?

— რას იზამდენ, ვინცხა მაღლიანებმა ქე შეიმოსწირეს პაწაი ფარა, ფიქრობდენ კიდეც აშენებას მარა ამ უშველებელ ჩხუბში თეატრიზავის სცალია.

— რეთია ფარა თუ იცი? ან ხომ არ იმახსუქნიან?

— რეთია არ ვიცი, მარა რაც შემოვიდა ქია ყველაი. კიდევაც გაასესხეს პაწა სარგებელს შემოიტანსო, მარა ისევ ვაპარს ასესხეს რომ უფრო კარგათ წეიყვანოს მისი საქმე.

— გეტყობა ძალიან გულმოსული ყოფილხარ ჩემო ფირან, ყორიფელზე, მარა აგარ ღვთის წყალობით მალე ჩხუბი გათავდება და ყველას შეურიგდები.

— ჩხუბის გათავებას მივესწრობოდე თვარა, ქალებსაც და ბაზრელებსაც ყველას თავი უტეხია მე არ ვინაღლო.

სოკო კვერცხი



სახხერეს ამბები.

ბატონი "კორდის" პროვოკატურულ წერილს რომელიც გაზეთი „მევობრი"-ს 115 ნომერშია მოთავსებული, დიდი ზეიმით მიეგება, ის ვითომ ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელსაც შრომის მოყვარეთა სახელით ნათლავს ავტორი.

—

ამავე წერილში მოყვანილი ცნობა, აქაურ სამკითხველოს შესახებ, რომ იგი „უზრუნველყოფილია", სრული ჭეშმარიტებაა, რადგანაც სამკითხველოს კარებს დღე და ღამ ორ-ორი კლიტე აქვს, ცხადია იმ გონივრული მოსაზრებით, რომ გამგეობის თავმჯდომარეს, დავით ლექვინაძეს, შიგ არავინ შეეპაროს.

—

იგივე ლიტერატორ-პროვოკატორი „კორდი" არწმუნებს მკითხველ საზოგადოებას, რომ „შრომის მოყვარე ინტელიგენცია დღე დღეზე ეპირებოდა კოოპერატიული სავაჭროს გახსნასო". თუ რა დარგის „შრომა უყვარს„ ზემოხსენებულ ჯგუფს ცხადათ ჩანს ბ-ნი „კორდის" მოღვაწეობიდან. კოოპერატიული საზოგადოება კი მამა იაკობიშვილის მეთაურობით არის დაარსებული და არა იმ მცონარეთა ჯგუფის, რომელსაც მიეთ-მოეთი „კორდი" ათვისებს.

—

ხმებია, რომ ამ არარაობის გამომხატველი ჯგუფის საპატიო წევრს ქ. კ. ი. მკაცრი წინადადება მიუცია ერთი მასწავლებელი ქალისათვის: თუ გაბედავ და საჩხერის ახლად დაარსებულ სცენაზე მიიღებ რაიმე მონაწილეობას, დაუყონებლივ განდევნილ იქნები მასწავლებელთა კორპორაციისაგან. აი საუკეთესო ნიმუში ამ ენა-ტარტალა საქმე პატარა ჯგუფისა.

—

აქაური საზოგადოება დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. შიშობენ: ვაი თუ ზემო აღნიშნული მატყუარებისაგან ანაშმაირებ ჰაერს, ზაფხულის სიცხეებმა მოუსწროს და რაიმე უცნაური სენი გაჩნდეს. ასეთი მოლოდინის თავიდან ასაცილებლათ განუძრახავთ ახლო მომავალში ბატონი ეშმაკი მოიწვიონ, იქნებ იმისმა სამართლიანმა მათრახმა მოგვაშოროს ეს ბნელეთის მოციქულებიო.

უვლინჭი.

წერილი რედაქციას

ბ. რ. ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, დღემდინ არ მქონდა საშვალება პასუხი გამეცა ეშმ. მათ. № 5-ში ხიდისთავ-ბუკნარელ თანამოაზრეების მიერ მოთავსებულ საპროტესტო წერილზე. ბუკნარ-ხიდისთავის თანამოაზრენი მე ბრალს მდებენ, თითქოს კერძო ინტერესითა და შეუფერებლად შევეხებოდე მათ პიროვნებას. მე ვამბობ, არავითარი კერძო ინტერესი არ მქონებია იმ ორი პიროვნების, არამედ მე ჩემი მოქალაქობრივი მოვალეობა შევასრულე. ჭეშმარიტ ფაქტის აღსადგენად ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში, როგორც იმ ორ პირს, აგრეთვე ხიდისთავ-ბუკნარის თანამოაზრეებსაც. ჩემის მხრით მედიატორეთ ვასახელებ ქიშვარდი მეგრელიძეს. ვადას ვაძლევ დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა ოც დღეს. იმედია ისინიც დაასახელებენ მედიატორეს.

კოსანდილე.

ფოსტა

„ეშმაკის მათრახის" რედაქცია ამით აცხადებს, რომ **უსახელო ავტორებისა** და **უცნობ პირთა** წერილები ჟურნალში არ დაიბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენტის ვინაობას და წერილში აღნიშნულ ამბის სისწორეს უნდა ამოწმებდეს ვინმე რედაქციისათვის სანდო პირი.

სარედაქციო წერილი უნდა დაიწეროს ქაღალდის ცალ გვერდზე და ყოველ აღნუსხულ ამბავს თან ახლდეს საჭირო ახსნა-განმარტება.

რომ სარედაქციო წერილი რედაქციაში მოსვლამდე არ გახსნან, საჭიროა კონვერტზე ადრესის შემდეგ დაეწეროს: „ეშმაკის მათრახისათავის".

უმარკო წერილებს რედაქცია არ იხსნის და დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

—

ბისკვიტს. (ყვირილა) თქვენ იწერებით ვიღაც შანტაჟისტის შესახებ:

„**ის ვაჟბატონი მდიდრულად იყო ჩაცმული და წვერ-ულვაშიც სულ გაპარსული ჰქონდა. დიდი სირცხვი-**

და ასეთ განათლებულ ინტელიგენტ ადამიანსათვის ასეთი ურიგო საქმის ჩადენა“.

წვერ-ულვაშის მოპარსვისთვის თუ განათლებულისა და ინტელიგენტის მოწმობა უბოძეთ, მაშინ რაღას იზამდით თავიც რომ გადაპარსული ჰქონოდა?

თვენი შეხედულობა რომ მართალი იყოს, ბ-ნო ბისკვიტო, თითოეული დალაქი დღეში ასი-ოდე ინტელიგენტს შეგვძენდა. ჩიკ-ჩიკ, ფხიკ-ფხიკ და გთავდა!

ჩხარისპირელ ეშმაკს. არ დაიბეჭდება.

ჭაუის კოლოფს.

კაწეგ კადვარ ტეგ-ფრესა,
ვეწვეეი ბეთრ ვიდგეგდმსა,
დგეტპეგები ამ ვერაგს
კგანადგურებ ამ მეგლსა.
ოგსა ძარმაგე წაგადი
ადარ დეუტეგ ნასასსა,
კადმოგფრანდები უკანგე
ეგელს გახარებ ამსა.

გირჩევთ, პატენტი ამ „კოლოფის“ ტარებისა არავინ გამოგტყუოსთ.

ეეზლიანს. (სუფსა) თქვენ იწერებით:

„სუფსა დიდ სამრეწველო ცენტრი შეიქნა, მით უმეტეს, რომ აქ იყრიან თავს რკინის გზები ბაქოდან და ბათუმიდანო“.

ასეთივე „ცენტრებია“ ჯუმათი, ნიგოითი, ნატანები, ჩაქვი. ვინაიდან „თავს იყრიან რკინის გზები ბაქოდან და ბათუმიდან“. განსხვავება იმაშია, რომ მათ „ეეზლიანი“ კორესპონდენტი არა ჰყავთ.

ხუნაგს. (ლანჩხუთი) გვაცნობებთ:

„ი. ცინცაძისა და მორჩილაძის სამეკტინოში ეკრიებებიან ვაჯრები და ისეთ საქმეებს ჩადიან, რომ კანონიერობას არ შეეფერებაო“.

ვაი, თუ დანაშაულიც ისე გაზვიადებულია, როგორც სამიკიტნოში მოთამაშე „კაკობრიობა“.

გ. მესხელს. (ბორჯომი) არ მიგვიღია.

ხარხიპოლ-სიკინტელაშვილს. (ხარაგოული) თქვენი ნახარხიპოლ სიკინტელაშვილიეკი სტატია არ გამოდგა და კალათისკენ წახარხიპოლ-სიკინტელაოდა.

კოსტა ლიკლიკაძეს. (ქუთისი) თქვენი სცენა არც გურულია და არც საინტერესო.

ჭინჭრაქას. (კუბი) თქვენი ლექსი ასე იწყება:

დათვმა დათვობა ვეკისრე
ვერცარა კაცხდა ამბავ.
სარწმუნოებას ხედი გკარ
შეუმაკაცდი ეშმაკკენ“.

ჩვენ დიდი დამფასებლები არა ვართ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ თქვენი ლექსი ძლიერ ახლოს უნდა იყოს დათვურ პოეზიასთან.

„ეშმაკის მათრახის“ ხელის-მომწერთა საყურადღებოთ:

ვთხოვთ ხელის მომწერლებს ჟურნალის ფული ვისაც არ გადაუხდია ადრე გამოგზავნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში „ეშმ. მათრახის“ გზავნა შეუწყდებათ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Ольгинская № 6, С. Таварткиладзе.

რათა გამოცემის ნება-რთვა არ დაიკარგოს, გამოვა აღდგომის წინა დღეებში მხოლოდ ერთი ნომერი იუმორისტული ჟურნალი

„მათრახი“

(მათრახოსანის რედაქციით),

რომელშიდაც მონაწილეობას იღებენ: —ეშმაკეული, მ. ცხვირაძე, ბუტუნა, გოგია, ზანკოლა, ეშმაკის ფეხი, ბერი ქედანი, განჯის-ყარელი, გურიანთელი და სხვანი.



აღსასრული ადამიანის ტანჯვისა!

სუსუნატის წამლობა.

5 წელიწადი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „რაპიდი“ გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო ბაბჭოს ნებართვით № 1295, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავადმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ **„რაპიდ“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს ამისთანა შემთხვევა არ არის,** ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩენათ, **და „რაპიდ-“ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს**.

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნატის (გონორეი) წინაალმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდა ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ეჭვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამალსაც —ამ შემთხვევაში მამთს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რო ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლათ ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ **„რაპიდ“-ის** ოთხ ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი, რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დაუბრუნებ.

ნიმუში ჩემის ხელწერილისა: „მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამას და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „პირად“-ის ორი ფლაკონი, სუსუნატის წინაალმდეგ, თავდები ვარ, რომ ოცი დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრს განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, **ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.**

17. მ. ხ., ბ-ნო დელამურე! დიდად გმადლობთ თქვენი წამლის „რაპიდ“-ისათვის, რომელმაც ერთბაშათ იქონია კარგი გავლენა. ძნელია განცხადების დაჯერება, მაგრამ თქვენი განცხადება კომერციული მოსაზრებით არა ყოფილა, არამედ ავადმყოფს განკურნებას ურჩევს, ამაში თვითონ დავრწმუნდი, განმეორებით გიხდით მადლობას.

ნოვგოროდი 14 მარტი, 1914 წ. — პ. ნ. პ. ნ.

წამლობის სრულ კურსის, ორმაგ წყვილ ფლაკონის და კოლოფ პილულის ფასი ცხრა მანეთი. გაგზავნით და ფასდადებით ათი მანეთი. ფასდადებით გაიგზავნება მხოლოდ მაშინ, თუ ბეღ წარმოადგენენ 3 მანეთს.

Съ требованіями и заказами обращаться исключительно кавказское отдѣленіе Московской Лабораторіи М. Деламури. Тифлисъ Эриванская площ. Пушзинская 3 отд. э/м. верхный этажъ.

10—8

ეროვნული ბიბლიოთეკა


ბაბელი
ბოლოდ
ბ ა ბ ი ნ ი ნ ი.
ბ ა ბ ი ნ ი ნ ი.
ბ ა ბ ი ნ ი ნ ი.